# თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## სალექციო კურსის სასწავლო გეგმა

სასწავლო წელი
2010-2011

**სასწავლო კურსის სახელწოდება:**

# პოლიტიკური კონფლიქტის მართვა

**სასწავლო კურსის კოდი:** H.1.H45

**ლექტორი** _ ასოცირებული პროფესორი თენგიზ სიმაშვილი
**ტელეფონები:** 897 051551; ელ.ფოსტა: tengris@yahoo.com
**საკონსულტაციო დრო** _ ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი 11-დან 15 საათამდე მსოფლიო ისტორიის კათედრაზე

**კრედიტების რაოდენობა:** 5 (ხუთი) ECTS კრედიტი. ხანგრძლივობა: 15 კვირა – 125 საათი. ა) სააუდიტორიაო – 45 სთ. (ლექცია – 30, პრაქტიკული – 15); ბ) დამოუკიდებელი – 80. კვირაში ჩატარდება 3 სააუდიტორიო შეხვედრა.

**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო. კურსი იკითხება „საჯარო მმართველობა" საბაკალავრო პროგრამის V სემესტრში

**სალექციო კურსის მიზანია:** _ შეასწავლოს

- კონფლიქტოლოგიის მეცნიერული კვლევის მეთოდები, საგანი და ამოცანები
- პოლიტიკური კონფლიქტების დინამიკა, მოგვარების და რეგულაციის გზები
- პოლიტიკური კონლიქტების მართვის როლი საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური საკითხების და პრობლემების გადაჭრაში

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა** _ არ აქვს

**სალექციო კურსის შედეგი:**

კონფლიქტების მართვის სტრატეგიების და პოლიტიკური კონფლიქტების გადაწყვეტის გზების შესახებ არსებული თეორიების ცოდნა. კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვის პროცესებში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების როლისა და ადგილის ცოდნა

**სწავლის შედეგების კრიტერიუმები:**

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ესმის პოლიტიკური კონფლიქტების ასპექტების რაობა;<br>იცნობს კონფლიქტების სხვადასხვა სახეების და პოლიტიკური კონფლიქტების შესახებ არსებულ ძირითად კონცეფციებს; | აქვს ღრმა და საფუძვლიანი პოლიტიკური კონფლიქტების წარმოშობის, განვითარების და რეგულაციის გზების შესახებ;<br>დაუფლებულია პოლიტიკური კონფლიქტების თე<br>და პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება,<br>ამოცანების დასმის და მათი გადაჭრის მეთოდებ |

| | | |
|---|---|---|
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია პოლიტიკური კონფლიქტების თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების პრობლემების შეფასება, ანალიზი;<br>შეუძლია პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა, მათი გადაჭრის ახალი გზების შემუშავება; | ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია პოლიტიკ კონფლიქტების თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი |
| დასკვნის უნარი | შეუძლია ხელმძღვანელის მითითების გათვალიწინებებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა | გააჩნია ანალიზისა და სინთეზის უნარი; შემოქმე ძიების უნარი; შეუძლია განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები; |
| ღირებულებები | იცნობს პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების დამახასიათებელ ღირებულებებს | იხილავს და აანალიზებს პოლიტიკური კონფლიქ თეორიებთან დაკავშირებული დისციპლინების მ დასმულ საკითხებს<br>შეუძლია პოლიტიკური კონფლიქტების თეორიებ დაკავშირებული დისციპლინების წინაშე მდგარი საკითხების გადაჭრა სტანდარტული მეთოდებით ითვალისწინებს და პატივს სცემს მეცნიერთა აზრ |

**თემა _ კონფლიქტოლოგიის საგანი**
**I კვირა**
ლექცია #1 _**სოციალური კონფლიქტის შესწავლის მეთოდები(**2სთ)
პრაქტიკული #1 - (1სთ)

კონფლიქტლოგიის საგანი. სოციალური კონფლიქტების მეცნიერული შესწავლის ისტორია. მეცნიერული კვლევის მეთოდები. საკვლევი პრობლემის განაზღვრა. კვლევის ეტაპების განსაზღვრა.

ძირითადი ლიტერატურა:
ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება, 10-21

დამატებითი ლიტერატურა:
სიმაშვილი, თ. (2006.) გლობალიზაცია და პოლიტიკურ ძალთა ახალი გადანაწილება. კავკასიის მაცნე #14. თბილისი: დიონისე, 10-15

**II კვირა**
**ლექცია #2 _ გლობალიზაცია და კონფლიქტები (2სთ)**
**სემინარი #2 - (1სთ)**

დასავლური და ისლამური ცივილიზაციების შეჯახება. კონფლიქტები ცივილიზაციების გამიჯვნის ზონებში.

ძირითადი ლიტერატურა:
ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება, 5-9

დამატებითი ლიტერატურა:
ჩიქოვანი, ნ. (2006). რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 57-93
Berger, P., Huntington, S. *( 2003). Cultural Diversity in the Contemporary World. Oxford University Press*

### III კვირა
### ლექცია #3 _ პოლიტიკური კონფლიქტი, როგორც სოციალური კონფლიქტის ერთ-ერთი სახე (2სთ)
პრაქტიკული # 3 - (1სთ)

პოლიტიკური კონფლიქტი, როგორც მრავალმხრივი კონფლიქტი. ძალადობა, როგორც პოლიტიკური კონფლიქტის საგანი და მისი გამოყენება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.
ძირითადი ლიტერატურა:
ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება, 24-25
დამატებითი ლიტერატურა:
დავითაშვილი, ზ. (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 107-117
Garner, R., Ferdinand P. (2009) *Introduction in Politics. Oxford University Press*

### თემა _ კონფლიქტის სახეები და ტიპები
### IV კვირა
### ლექცია #4 კონფლიქტის სახეები და ტიპები. (2სთ)
პრაქტიკული #4 - (1სთ).
კონფლიქტის სახეები; პოლიტიკური კონფლიქტების ტიპები _ ინფორმაციული კონფლიქტები, ინსტიტუციონალური კონფლიქტები, ღირებულებათა კონფლიქტები, ურთიერთდამოკიდებულებათა კონფლიქტები, ინტერესთა კონფლიქტები.
ძირითადი ლიტერატურა:
ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება, 24-39
დამატებითი ლიტერატურა:
ჩიქოვანი, ნ. (2001). კავკასიის კულტურული სივრცე: ცივილიზაციური ერთობა თუ მრავალფეროვნება. კონფლიქტოლოგიის საკითხები #3. თბილისი: მეცნიერება, 17-25

### V კვირა
### ლექცია #5 _ პოლიტიკური კონფლიქტის დინამიკა (2სთ)
პრაქტიკული #5 - (1სთ).
კონფლიქტების განვითარების პროცესი. კონფლიქტის დინამიკის გამოვლინება _ ესკალაცია და დეესკალაცია. ესკალაციის ფაზები და სტადიები. ესკალაციის სხვადასხვა სტილები _ ბრალდებიდან დაწყებული შეჯახებებით დამთავრებული. ესკალაციის დასასრული _ დეესკალაციის დასაწყისი. დეესკალაციის საფეხურები _ შეტყობინებიდან შეთანხმების მიღწევის პროცესამდე. დეესკალაციის ეფექტური დასრულება – მოლაპარაკებებამდე მისვლა.
ძირითადი ლიტერატურა:
ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება, 39-62
დამატებითი ლიტერატურა:
მაცაბერიძე, მ. (2006). ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცეს.ი თბილისი: სხივი, 17-23

### თემა _კონფლიქტების კონტროლი და მართვა.
### VI კვირა
### ლექცია #6 _ პოლიტიკური კონფლიქტების მართვის სტრატეგია(2სთ)
პრაქტიკული #6 - (1სთ)

პოლიტიკური კონფლიქტების მართვა, დარეგულირება და გადაწყვეტა.
ძირითადი ლიტერატურა:
ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება, 97-99
დამატებითი ლიტერატურა:
კაციტაძე, კ. (2001). გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში. თბილისი: დიონისე, 87-90

### VII კვირა
### ლექცია #7 _ პოლიტიკური ძალის როლი კონფლიქტების გადაწყვეტაში(2სთ)
პრაქტიკული7 - (1სთ)

,,პოლიტიკური ძალა~; პოლიტიკური ძალაუფლება; პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელება _ იძულებითი, დარწმუნებითი, მატერიალური წახალისება; მაკიაველი; ,,პოლიტიკის ინსტრუმენტი~ _ სამხედრო ძალა.
ძირითადი ლიტერატურა:
ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება, 73-85
დამატებითი ლიტერატურა:
ბიჭაშვილი, მ. (2006). პოლიტიკური თეორია. თბილისი: დიონისე, 8-20

## VIII კვირა
## ლექცია #8 _ პოლიტიკური ლიდერის როლი და პოლიტიკური ძალა(2სთ)
## სემინარი #8 - (1სთ).

ტერმინი ,,პოლიტიკური ლიდერი~. განსხვავება ,,დიქტატორი~, ,,დესპოტი~, ,,ტირანი~. ,,დიქტატორი~ პოლიტიკური მნიშვნელობა; პოლიტიკური ლიდერი, როგორც პოლიტიკოსი ქმედებაში; პიროვნული თვისებები; ლიდერობის მახასიათებლები _ ბაზისური კატეგორიები.
ძირითადი ლიტერატურა:
ბიჭაშვილი, მ. (2006). პოლიტიკური თეორია. თბილისი: დიონისე, 21-31
დამატებითი ლიტერატურა:
მაცაბერიძე, მ. (2006). ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცეს.ი თბილისი: სხივი, 23-51

## IX კვირა

## ლექცია #9 _ პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური ძალაუფლება(2სთ)
პრაქტიკული# 9 - (1სთ)

პოლიტიკური პარტიის ცნება. იდეოლოგია და პარტიები. საარჩევნო სისტემა და პარტიები.
ძირითადი ლიტერატურა:
ბიჭაშვილი, მ. ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში (2001) თბილისი, 47-60
დამატებითი ლიტერატურა:
მაცაბერიძე, მ. (2006). ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცეს.ი თბილისი: სხივი, 51-59

## თემა _ პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება და რეგულაცია

## X კვირა

## ლექცია #10 პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების გზები(2სთ)
პრაქტიკული #10 _ (1სთ).

პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. მიზანი _ დაძაბულობის შემცირება. მართვის ეტაპები _ კონფლიქტების ანალიზი და დიაგნოსტირება, რეგულაცია ორ დონეზე _ ძალისმიერი და თანამშრომლობითი. პრევენცია, გადაჭრა.

ძირითადი ლიტერატურა:
ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება, 97-105
დამატებითი ლიტერატურა:
მაცაბერიძე, მ. (2004). კონფლიქტოლოგიის საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 18-21

## XI კვირა
## ლექცია #11 POLპოლიტიკური კონფლიქტების მართვის გზები(2სთ)
პრაქტიკული # 11 - (1სთ)

კონფლიქტების მართვის გზა _ მოლაპარაკება. მოლაპარაკებების ძირითადი ფუნქციები. კომპრომისი. მოლაპარაკებების სტილი _ უხეში, თბილი, მიკუთვნებითი, გამანაწილებელი.

ძირითადი ლიტერატურა:
ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება, 106-122

დამატებითი ლიტერატურა:
მაცაბერიძე, მ. (2004). კონფლიქტების კონტროლისა და მართვის საკითხები. კონფლიქტოლოგიის საკითხები #3. თბილისი: მეცნიერება, 30-37

XII კვირა

ლექცია #12 Pპოლიტიკური კონფლიქტების რეგულაციაK (2სთ)
პრაქტიკული #12 - (1სთ)

მომლაპარაკებელ პირთა დახასიათება-თვისებები. დაძაბულობის შემცირების მოდელი. ინდი-ვიდუალური, ჯგუფური მოლაპარაკებები. მოლაპარაკების შედეგი _ კონსენსუსი. მოლაპარაკებები და პრაქტიკული შედგები.

ძირითადი ლიტერატურა:
ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება, 123-145

დამატებითი ლიტერატურა
ჩიქოვანი, ნ. (2001). კავკასიის კულტურული სივრცე: ცივილიზაციური ერთობა თუ მრავალფეროვნება. კონფლიქტოლოგიის საკითხები #3. 17-24

XIII კვირა
ლექცია #13 გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური კონფლიქტები (2სთ)
პრაქტიკული #13 - (1სთ)

გარდამავალი ანუ პოსტსაბჭოთა პერიოდის დახასიათება. დახურულიდან ღია საზოგადოებაზე გადასვლის პერიოდი. გარდამავალი პერიოდის მახაიათებლები _ კრიზისული სიტუაციები: სამთავრობო, საპარლამენტო, კონსტიტუციური. სამთავრობო, საპარლამენტო, ოპოზიციური კოალიციების როლი კრიზისების დაძლევაში. კოალიციების არსებობა _ კომპრომისები.

ძირითადი ლიტერატურა:
ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება, 174-187
დამატებითი ლიტერატურა:
მაცაბერიძე, მ. (2006). ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცეს.ი თბილისი: სხივი, 7-11

XIV კვირა

ლექცია #14 პოლიტიკური ძალაუფლება და ტერორიზმი (2სთ)
პრაქტიკული #14 - (1სთ)

თანამედროვე ტერორიზმი, როგორც პოლიტიკური კონფლიქტების მართვის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. სახელმწიფო ტერორიზმი, ისლამური ტერორიზმი. ისლამური ტერორიზმი, როგორც სახელმწიფოებზე პოლიტიკური ზემოქმედების საშუალება. ტერორიზმი და პოლიტიკური ძალაუფლება. ტერორიზმის ბუნება და წყაროები. ტერორიზმი და პოლიტიკა.

ძირითადი ლიტერატურა:
ბიჭაშვილი, მ. (2001). ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში. თბილისი: მეცნიერება, 86-111

დამატებითი ლიტერატურა:
ხუციშვილი, გ. (2001). ტერორიზმი. თბილისი: დიონისე, 5-43
ჩხაიძე, ზ. (2001). საერთაშორისო ტერორიზმი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი #56. თბილისი: არსი
სიმაშვილი, თ. (2005). საერთაშორისო ისლამური ტერორიზმი და ,,ალ-ქაიდა". ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტის შრომები. #2(18).

სიმაშვილი, თ., ღადალაშვილი, გ. (2007). საერთაშორისო ისლამური ტერორიზმი და ,,ალ-ქაიდა“. თბილისი: დიონისე

**XV კვირა**
**ლექცია #15 მასმედია და პოლიტიკური ძალაუფლება (2სთ)**
პრაქტიკული # 15 - (1სთ)
მასმედია ტოტალური რეჟიმები. ტოტალური რეჟიმების მასმედიის ფუნქციები. მასმედია დემოკრატიულ ქვეყნებში. მასმედია და პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში.
.
ძირითადი ლიტერატურა:
ბიჭაშვილი, მ. (2001). ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში. თბილისი: მეცნიერება, 77-85
დამატებითი ლიტერატურა:
დავითაშვილი, ზ. (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 277-280

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**
¬_ გათვალისწინებულია სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენება: ლექცია, სემინარი(პარაქტიკული სამუშაო), წერითი და ზეპირი გამოკითხვა კოლოკვიუმი, პრეზენტაცია.

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

ბ) დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი შეფასდება ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი შეფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი შეფასდება ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაობებით და სხვა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა (2 x 5 ქულა) დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით;

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით;

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ ის თვითონ გადაწყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილოს სტუდენტის ნაწერი და გამოკითხოს სტუდენტი. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს სტუდენტი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურად გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსში, იქნება გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

სწავლა ინტერაქტიული პროცესია, რომელიც მოიცავს დისკუსიებს ჩემთან, თანაკურსელებთან, მაგრამ საბოლოო ჯამში თქვენ უნდა იმუშაოთ თქვენი იდეების ჩამოყალიბებაზე. მე თუ აღმოვაჩენ, რომ თქვენს ნაშრომებში გამოიყენეთ თანაკურსელის ნაშრომის ნაწყვეტები, ან პირდაპირ გადაწერეთ საკითხები ყოველგვარი გააზრების გარეშე, ანუ მოახდინეთ პლაგიატი მითითებული ლიტერატურიდან, არ დაგიწერთ ქულებს.

სამაგიეროდ, ყველანაირად წავახალისებ დამოუკიდებელ აზროვნებას, შემოქმედებითი მიდგომას, ორიგინალურ იდეებს, თუნდაც ეწინააღმდეგებოდეს აღნიშნული საკითხის ჩემეულ ხედვას.

**ძირითადი ლიტერატურა:**

1. ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება
2. ბიჭაშვილი, მ. (2001). ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში. თბილისი: მეცნიერება

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. კაციტაძე, კ. (2001). გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში. თბილისი: დიონისე
2. მაცაბერიძე, მ. (2004). კონფლიქტოლოგიის საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
3. მაცაბერიძე, მ. (2006). ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცეს.ი თბილისი: სხივი
4. მაცაბერიძე, მ. (2004). კონფლიქტების კონტროლისა და მართვის საკითხები. კონფლიქტოლოგიის საკითხები #3. თბილისი: მეცნიერება
5. ბიჭაშვილი, მ. (2006). პოლიტიკური თეორია. თბილისი: დიონისე
6. დავითაშვილი, ზ. (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
7. სიმაშვილი, თ., ღადალაშვილი, გ. (2007). საერთაშორისო ისლამური ტერორიზმი და ,,ალ-ქაიდა". თბილისი: დიონისე
8. სიმაშვილი, თ. (2006.) გლობალიზაცია და პოლიტიკურ ძალთა ახალი გადანაწილება. კავკასიის მაცნე #14. თბილისი: დიონისე
9. სიმაშვილი, თ. (2005). საერთაშორისო ისლამური ტერორიზმი და ,,ალ-ქაიდა". ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტის შრომები. #2(18).
10. ჩიქოვანი, ნ. (2006). რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
11. ჩიქოვანი, ნ. (2001). კავკასიის კულტურული სივრცე: ცივილიზაციური ერთობა თუ მრავალფეროვნება. კონფლიქტოლოგიის საკითხები #3. თბილისი: მეცნიერებ
12. ფუკუიამა, ფ. (1999). ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბილისი: მერანი
13. ჩხაიძე, ზ. (2001). საერთაშორისო ტერორიზმი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი #56. თბილისი: არსი
14. ხუციშვილი, გ. (2001). ტერორიზმი. თბილისი: დიონისე
15. Berger, P., Huntington, S. *( 2003). Cultural Diversity in the Contemporary World. Oxford University Press*
16. Garner, R., Ferdinand P. (2009) *Introduction in Politics. Oxford University Press*

**P.S.** სილაბუსში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, შესაბამის კათედრებზე და ლექტორთა პირად ბიბლიოთეკებში.